ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2995959

ნომერი: AR1462676

თარიღი : 09.12.2016

გაცემის თარიღი : 30.12.2016

გაცნობის თარიღი : 30.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მარშალ გელოვანი , N 36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიან ჟორჟიკაშვილი პ/ნ 01010015234
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 5 ბ.17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 09/12/2016 წლის №AR1462676 განაცხადით მომართეს ვალერიან ჟორჟიკაშვილმა, აკაკი ბრეგვაძემ, ვაჟა ცერცვაძემ და

ოთარ ბრეგვაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, მარშალ გელოვანის გამზირი, №36-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.10.006.021) შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენებით) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: არასწორად არის დაფიქსირებული განაშენიანების ფართობი, რომელიც ნაცვლად 674.5 კვ.მ.-ისა არის 752.4 კვ.მ.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანებაში აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და განაშენიანების ფართობად 752.4 კვ.მ.-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა განაშენიანების ფართობის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: განაშენიანების ფართობი (კვ.მ).:752.4;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/10/2016 წლის №2869919 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.